ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
THE MUNICIPAL ASSEMBLY OF KEDA

წერილის ნომერი: **95-95230752**
თარიღი: **16/03/2023**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს

თავმჯდომარეს ბატონ ელგუჯა ბაგრატიონს

ბატონო ელგუჯა,

თქვენი, 2023 წლის 07 მარტის N:09-02-16/112 წერილის (განცხადების N:21-95230681-95; განცხადების თარიღი 09.03.2023) პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2022 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის არცერთი პირი არ იმყოფებოდა ევროპის ქვეყნებში მივლინებაში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არაა შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი და შესაბამისად ვერ მოგაწვდით თქვენს მიერ მოთხოვნილ დასაქმებული პირთა რაოდენობის და დეპარტამენტის სხვადასხვა ხარჯების შესახებ ინფორმაციას.

რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების დაფინანსებული/მხარდაჭერილი პროექტების შესახებ ინფორმაციას გაცნობებთ, რომ 2013 წელს გაფორმდა ევროკავშირის წარმომადგენელი ევროკომისიისა და ქედის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა კონტრაქტორის მიერ გრანტის გაცემა - მუნიციპალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება ქედის მუნიციპალიტეტში. პროექტის ბიუჯერი შეადგენდა - 78 365 ევროს. (ევროკავშირით დაფინანსებული თანხა შეადგენდა - 70 528 ევროს, ხოლო ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა -7 836 ევრო), პროექტის ხანგრძლივობა 24 თვე.

რაც შეეხება კანონპროექტთან მიმართებაში ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსაზრებას გაცნობებთ, რომ კანონპროექტის ერთადერთი მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა იყო. კანონპროექტის გაწვევას მორალური უპირატესობა ჰქონდა, ვინაიდან რისკის ქვეშ არ უნდა ყოფილიყო არცერთი ადამიანის, არცერთი ახალგაზრდის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დაბა ქედა,კოსტავას ქუჩა №3,
KEDA. KOSTAVA STR,№3 ს.კ/ ID 246762061. ტელ/TEL: 250003 ელ.ფოსტა/E-MAIL: KEDA.MUN@GMAIL.COM